

ბერძნული ეი დიფთონგის გარემოება ქართულში

1. საკითხი წმინდა ორთოგრაფიული ხასიათისაა, ე. ი. დასადგენია, თუ რა დაწერილობა უნდა შეეფერებოდეს სავალდებულო ლიტერატურულ წარმოთქმას. ეს უკანასკნელი ირკვევა როგორც შესათვისებელი, ისე შემთვისებელი ენის ფაქტების მიხედვით.

2. თვით გერმანულის ლიტერატურულ გამოთქმაში ეი დიფთონგის პირველი ხმოვანი ამჟამად უკვე აღარ არის ე: ის საშუალო ბგერაა ე-სა და ა-ს შორის, რომელიც, თვით გერმანული ფონეტიკის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ახლოსაა ა-სთან, ვიდრე ე-სთან.

სპეციალურ ლიტერატურაში ეი დიფთონგის პირველ ხმოვანს განიხილავენ სწორედ როგორც ა-ს; ორთოგრაფია ამ შემთხვევაში ისტორიულ ტრადიციას დამყარება.

3. ხსენებულ დიფთონგიანი გერმანული სიტყვების დაწერილობა სხვა ევროპულ ენებში იცავს გერმანულ ორთოგრაფიას იქ საყოველთაოდ მიღებული უცხო სიტყვათა გრაფიკულ-მექანიკური გადმოცემის წესის მიხედვით, რაც, უმთავრესად, შრიფტის ერთიანობასა და საერთოდ ტრადიციულ ორთოგრაფიებზეა დამყარებული.

4. რუსული, რომელიც ამ გრაფიკულ-მექანიკურ პრინციპს არ იცავს შრიფტის განსხვავებულობის გამო (შეად. რუს. Гёте, Шекспир და სხვ.), აღებულ შემთხვევაში გარეგნულად თითქოს მას მისდევს (გერმანული ეი რუსულში ჩვეულებრივად еи-ს სახით გადმოდის), ნამდვილად კი რუსული დაწერილობა ისტორიული და ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება.

5. ქართულში აღნიშნულ დიფთონგიან გერმანულ სიტყვათა დაწერილობაში ერთგვარ მერყეობას ჰქონდა ადგილი. წინათ თუ, ერთი მხრივ, უპირატესად იწერებოდა **ლეიბნიცი**, **ლეიბჰირტრიგი**, **რეიხსტაგი**, **შტრეიკბრენერი** და სხვ., მეორე მხრივ, იხმარებოდა **ვაიმარი**, **ცვაიგი**, **აინშტაინი**, **ჰაიდელბერგი**, **მეკელაინი** და სხვ.; გვხვდებოდა პარალელური ფორმებიც: **ლეიფციგი** და **ლაიფციგიც**, **ჰეინე** და **ჰაინეც** და სხვ. ეს მერყეობა აიხსნება ამ სიტყვათა ქართულში შემოსვლის ორი გზით: რუსულიდან, ბეჭდურ-დაწერილობითი გზით და გერმანულიდან, უშუალო ცოცხალი ურთიერთობის გზით. უკანასკნელი იწყება უმთავრესად იმ მომენტში, როდესაც დიფთონგის ლეევანდელი, გერმანული ლიტერატურული გამოთქმა უკვე ჩამოყალიბებულია.

6. თანამედროვე ლიტერატურული გამოთქმა ეი დიფთონგისა სავსებით ზუსტად გადმოიცემა ქართულში აი-ს სახით, რაც ქართული ა ხმოვნის ხასიათითაა განსაზღვრული.

7. ქართული ა არის შედარებით ვიწრო ხმოვანი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ენებთან შედარებით, სადაც ან რამდენიმე სხვადასხვა ა მოიპოვება

3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

ან არადა ერთადერთ ა-ს აქვს უფრო ღია გამოთქმა, როგორც, მაგალითად, რუსულში.

8. რუსულ-ქართული მრავალრიცხოვანი პარალელები ცხადად მოწმობენ, რომ ქართული ა სწორედ თავისი სივიწროვის გამო ძალიან ხშირად თავის შესატყვისად რუსულში პოვებს არა ა-ს, არამედ ე-ს და პირუქუ (მ საერთოდ უფრო ვიწრო ბგერაა, ვიდრე ა); მაგალითად:

ქართულიდან ნასესხები სიტყვები რუსულში
(აღებულია ისტორიული ფაქტები)

მაჭავარიანი	Мечеварианов
შარვაშიძე	Шервашидзе
ათაბაგი	атабек
ფეშანი	Пешенга
ოჩამჩირე	Очемчиры
ბასლათი	Беслетка

რუსულიდან ქართულში ნასესხები სიტყვები

იარაღი	генерал
არტალარია (ხალხური)	артилерия

საერთო ნასესხობანი რუსულსა და ქართულში რომელიმე უცხო ენიდან კავკასიური ენებიდან:

შაქი	Шека (Шеки)
შამახია	Шемаха
ჩაჩანი	чеченец
აბრაგი	абрек და სხვ.

აღმოსავლური ენებიდან
(არაბულ-სპარსულ-თურქულიდან):

დარუბანდი	Дербент
ადარბაიჯანი	Азербейджан
ფათ-ალი-ხანი	Фетали-хан
ფათ-ალი-შაჰი	Фетали-шах
ჯავანშირი	Джеваншир
თაფა	тепе
თარაქამა	терекемейцы
ჩალაბი	Челеби
ბეგლარბეგი	беглербег
ჩარდახი	чердак
მაჰმადი	Магомет
მაჰდი	Мегди, Мехти
მაქა	Мека
მადინა	Медина

ალბი
ნავთი

Алеппо
нефть და სხვ.

9. გერმანულ-რუსულ ბეკრით შესატყვისობათა თვალსაზრისით გერმანულში ორი ა-სა და რუსულსა და ქართულში თითო ა-ს არსებობის პირობებში გასაგები ხდება ის გარემოება, რომ რუსული a შეესატყვისება გერმანულ ლია a-ს (პირველი ხმოვანი სიტყვაში Arbeit), ხოლო ქართული a გერმანულ ვიწრო a-ს (მეორე ხმოვანი იმავე სიტყვაში). ასევე ცხადი ხდება, რომ, თუ გერმანული ვიწრო a, კერძოდ ei დიფთონგის a, ვერ პოვებს ზუსტ შესატყვისის რუსულ a-ში, სამაგიეროდ, ზუსტ შესატყვისის პოვნებს იგი ქართულ ა-ში (ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ რუსულში მაინც არის თითო-ორი შერეული ალენიშნული დიფთონგის aй-ს სახით გადმოცემისა: Айсберг, გერმ. Eisberg—ყინულის მთა, გვარები: Айхенвальд, Айзман, Айзенштадт).

ამის მიხედვით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გატარდეს შემდეგი წესი:

გერმანულ სიტყვათა შეთვისებისას გერმანული ei გადმოიცეს ქართულში ყველგან აი-თ. მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ:

აინშტაინი	რაინი
ბრაუნშვაიგი	რაიხსტაგი
გლინტვაინი	ფრაიბურგი
ვაიმარი	შტრაიკბრეხერი
კაპელმაისტერი	შტაინაზი
ლაიბგარდია	ცაიტნოტი
ლაიბმედიკი	ცვაიგი
ლაიბნიცი	„ცაიტუნგი“
ლაიფციგი	„ცაიტშრიფტი“
გროსმაისტერი	ჰაიდელბერგი
მანჰაიმი	ჰაინე
მეკელაინი	ჰოფმაისტერი და ა. შ.

შენიშვნა. ეს წესი არ გავრცელდება ei დიფთონგიან იმ სიტყვებზე, რომლებიც გერმანულიდან შესულან რუსულ ენაში, დაქვემდებარებიან რუსული ენის ნორმებს და შემდგომ შემოსულან ქართულში. ასეთ სიტყვათა დაწერისას ანგარიში უნდა გაეწიოს რუსულ დაწერილობას და ei დიფთონგი ქართულში ეი-ს სახით გადმოიცეს. ამის კვალობაზე ქართულში უნდა იწერებოდეს:

ბრონშტეინი
ეიზენშტეინი
ეიხენბაუმი
ეიხენვალდი
რუბინშტეინი და ა. შ.